კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, დ. უზნაძის ქ №76/1-ში, მდებარე შენობის გარე ფასადზე არსებული ნალესის მოხსნისა და სხვა სამუშაოების შესახებ.

შპს „მედფარმა პლიუსის“ თხოვნის საფუძველზე ჩემს მიერ მოხდა ქ. თბილისში, დ. უზნაძის ქ. №76/1-ში მდებარე შენობის გამოკვლევა. კვლევის მიზანია დადგინდეს მოახდენს თუ არა გავლენას შენობის გარე ფასადზე არსებული ნალესის მოხსნა (იხ. სურათი 1) და კარის ღიობის გაფართოვება (იხ. სურათი 2; სურათი 3) შენობის მზიდ ელემენტებზე და შემდგომში შენობის უსაფრთხო ექსპლუატაციაზე.



სურათი 1

არსებული შენობა ორ სართულიანია, რომლის საძირკველი შესრულებულია ყორე ქვის წყობით ხოლო შიდა და გარე კედლები წარმოადგენს აგურის წყობას.

სართულშუა გადახურვა ხის კოჭებით არის შესრულებული.

იმისათვის რომ მივიღოთ სასურველი ფასადი საჭიროა მოიხსნა არსებული ნალესი და შემდგომ დეკორატიულად დამუშევდეს არსებული აგურის წყობა. ასევე გაფართოვდეს კარის ღიობი. (იხ. სურათი 2 და სურათი 3)



სურათი 2



სურათი 3

გარე ფასადზე არსებული ნალესის მოხსნა არანაირ გავლენას არ ახდენს შენობის მზიდ კონსტრუქციებზე.

ნათლად ჩანს რომ კარის ღიობი თავდაპირველად იყო უფრო დიდი და შემდგომ არის შემცირებული, ამიტომ მისი გაზრდა პირვანდელ მდგომარეობამდე არ გამოიწვევს უარყოფით გავლენას კედლის მზიდუნარიანობაზე.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ რომ ზემოაღნიშნული სამუშაოები არ მოახდენს გავლენას შენობის მზიდ ელემენტებზე და ხელს არ შეუშლის შემდგომში შენობის უსაფრთხო ექსპლუატაციას.

ინჟინერ-კონსტრუქტორი გ. ყალაბეგაშვილი